საექსპერტო დასკვნა

ანგარიშზე „ქ. თბილისში, სოფ. დიღომი, დიდი დიღმის ტერიტორიაზე, ნაკვეთი №01.72.14.038.938 -ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტი. საინჟინრო გეოლოგიური კვლევის ტექნიკური ანგარიში“.

ჩვენს მიერ 2016 წლის აგვისტოში შემოწმებული იქნა ქ. თბილისში, სოფ. დიღომში, დიდი დიღმის ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილ ნაკვეთ №01.72.14.038.938 -ში წარმოდგენილი საინჟინრო გეოლოგიური პირობების ტექნიკური დოკუმენტაცია.

შემოწმების მიზანი: დადგინდეს ქ. თბილისში, სოფ. დიღომში, დიდი დიღმის ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილ ნაკვეთ №01.72.14.038.938 -ში წარმოდგენილი საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოების და მის საფუძველზე შედგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისობა საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმებთან, წესებთან და სახელმწიფო სტანდარტებთან.

საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები შეასრულა შ.პ.ს „თბილინვესტპროექტი“-ს გეოლოგიურმა ჯგუფმა 2016 წლის მარტში სამუშაოების უშუალო ხელმძღვანელი ინჟ. გეოლოგი ი. ცხომელიძე. მათ მიერ არის შესრულებული აგრეთვე გრუნტების ლაბორატორიული გამოკვლევები და გრუნტის წყლის ქიმიური ანალიზები.

საექსპერტოდ გადმოცემულია:

1. ანგარიშის ტექსტური ნაწილი აკრეფილი კომპიუტერზე---------- 8 გვ.
2. ტექნიკური დავალება---------- 1 გვ.
3. ცხრილი გრუნტების თვისებებზე---------- 1 გვ.
4. გრუნტების სიმტკიცის მაჩვენებელთა სტატისტიკური დამუშავება--- 4გვ.
5. კომპრესიისა და ჭრის გრაფიკები ---------- 12გვ.
6. გრუნტის წყლის ქიმიური ანალიზი ---------- 1გვ.
7. მოედნის ტოპოგეგმა ---------- 1 ფურც.
8. ჭაბურღილების ლითოლოგიური სვეტები ---------- 4 ფურც.
9. მოედნის გეოლოგიური ჭრილები ---------- 2 ფურც.

პროექტით საკვლევ მოედანზე უნდა აშენდეს შვიდსართულიანი საცხოვრებელი სახლი, რომლის ზომებიცაა გეგმაში 23.20X12.00მ. კონსტრუქციულად შენობა გადაწყვეტილია რკინაბეტონის კარკასით, შევსება იქნება აგურით ან ბეტონის წვრილი ბლოკებით. რაც შეეხება საძირკვლის ჩაღრმავებასა და კონსტრუქციას, იგი გადაწყდება მოედნის საინჟინრო გეოლოგიური გამოკვლევების შემდეგ.

ანგარიშში მოცემულია საკვლევი ტერიტორიის ზოგადი გეომორფოლოგიური, გეოლოგიური და კლიმატური პირობები. მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების გამოსაკვლევად, ავტომანქანაზე დამონტაჟებული საბურღი დაზგით გაყვანილი იქნა ოთხი ჭაბურღილი, საერთო სიგრძით 40 მეტრი. ჭაბურღილებიდან აღებული იქნა გრუნტის ნიმუშები მათი თვისებების გამოსაკვლევად ლაბორატორიულ პირობებში. ასევე აღებული იქნა გრუნტის წყლის სინჯი, მათი ბეტონის ნაკეთობებზე აგრესიულობის დასადგენად.

ჩატარებული საველე და ლაბორატორიული სამუშაოების ანალიზის საფუძველზე საკვლევ მოედანზე გამოყოფილი იქნა გეოლოგიურ ჭრილში გრუნტის შემდეგი ფენები:

1. ფენა – 1 – ნაყარი
2. ფენა – 2 – თიხა
3. ფენა – 3 – ქვიშა
4. ფენა – 4 – თიხა

ანგარიშში მოცემულია ზემოაღნიშნული გრუნტების დახასიათება და მათი ფიზიკურ-მექანიკური მაჩვენებლები. რის საფუძველზედაც ავტორი წინადადებას იძლევა ფუძე-გრუნტებად შეირჩეს ფენა 2 – თიხა, რასაც ვეთანხმებით.

მოედნის ჰიდროგეოლოგიური პირობებიდან აღნიშნულია, რომ გრუნტის წყალი დაფიქსირებული იქნა მიწის ზედაპირიდან 6.0 მ. სიღრმეზე. წყალი, როგორც ქიმიური ანალიზებიდან ჩანს, არ არის აგრესიული ბეტონის ნაკეთობების მიმართ.

დ ა ს კ ვ ნ ა

ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები ქ. თბილისში, სოფ. დიღომში, დიდი დიღმის ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილ ნაკვეთზე, აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმების მოთხოვნებს. ცალკეული შენიშვნები ჩვენს მიერ გამოთქმული ჩატარებულ სამუშაოებზე ავტორის მიერ მიღებული იქნა და ანგარიშში შეტანილია სათანადო კორექტივები. ამრიგად წარმოდგენილი ანგარიში შეიძლება დაედოს მშენებლობის პროექტს საფუძვლად საინჟინრო გეოლოგიურ ნაწილში.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
გრუნტების მექანიკისა და ფუძე-საძირკვლების
მიმართულების ხელმძღვანელი,
ტექნ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი /გ. ჭოხონელიძე/

380113 თბილისი, ვაჟა ფშაველას გამზ. 16. ტელ: 337808, 3711118. ფაქსი: 386527. ელ-ფოსტა info@Expertiza.ge

№ ______

"____" ________ 2011წ

ც ნ ო ბ ა

ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ზუგა ჭოხონელიძე 1995 წლიდან ირიცხება მშენებლობის პროექტირების ექსპერტიზის სამმართველოს დამტკიცებულ ექსპერტთა სიაში, ინჟინერ-გეოლოგის სპეციალობით.

აღნიშნული პერიოდის განმავლობაში მან ჩაუტარა ექსპერტიზა მრავალი მნიშვნელოვანი ობიექტის პროექტს საინჟინრო გეოლოგიის ნაწილში.

ცნობა ეძლევა ქ.თბილისის არქიტექტურულ დეპარტამენტში წარსადგენად.

დირექტორის პირველი

მოადგილე

ლ. მეძმარიაშვილი

ООО«Экспертиза Проектирования и Строительства»
380113 Тбилиси, пр. Важа Пшавела 16,
тел.: 337808, 3711118, факс (995 32) 386527

LTD «Examination Construction Design»
380113 Tbilisi, Vadgha-Pshavela Av.16
Phone: 337808, 3711118, fax: (995 32) 386527

CV - ჭოხონელიძე გუგა

გვარი, სახელი, მამის სახელი	ჭოხონელიძე გუგა ილიას ძე
ბინის ტელეფონის ნომერი	ქ. თბილისი, კეკელიძის №10, ბინა 25 ტელ.: 2-22-00-44
დაბადების თარიღი	1928 წლის 16 თებერვალი
განათლება	1945 წელს დავამთავრე ქ. თბილისის 12 ვაჟთა სკოლა, 1950 წელს დავამთავრე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტ სამშენებლო ფაკულტეტი, მშენებელ-ინჟინერის სპეციალობით, 1972 წელს დავამთავრე იგივე ინსტიტუტი, ინჟინერ-გეოლოგის სპეციალობით.
მინიჭებული კვალიფიკაცია	1974 წელს ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი (დიპლომი) 1975 წელს პროფესორი საინჟინრო გეოლოგიაში (დიპლომი) 2000 წელს საქართველოს საინჟინრო აკადემიის - აკადემიკოსი
საქმიანობა და სამუშაო გამოცდილება	1950-1958 წწ. ჰიდროგეოლოგიისა და მელიორაციის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი; 1958-1974წწ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში; 1983 წლიდან დღემდე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტ გრუნტების მექანიკისა და ფუძე-საძირკვლების მიმართულებ ხელმძღვანელი
გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები და პუბლიკაციები	გამოქვეყნებულია 98 სამეცნიერო შრომა, მათ შორის მონოგრაფიე „საქართველოს ლიოსისებური გრუნტები“ (1976წ) და „ამიერკავკასიის ლიოსისებური გრუნტები“ (1988 წ.) შესწავლილი და ანგარიშები დაწერილი მაქვს ინგურის ჰიდროელექტროსადგურის, ქ. თბილისის, ქ. რუსთავის, სოხუმისა და ქ. ფოთის საინჟინრო „გეოლოგიურ პირობებ გაცემული მაქვს 100-ზე მეტი საექსპერტო დასკვნა მშენებლობასთ დაკავშირებული ობიექტის საინჟინრო-გეოლოგიურ პირობებზე. მაქვს გამოგონებები გრუნტების გამაგრებაზე. ვარ ავტორი სახელმძღვანელოებისა: „გრუნტების მექანიკა და ფუძე-საძირკვლები“ 2005 წ. და „ საინჟინრო ნაგებობები“ (2012 წ.). ვარ ავტორი სამშენებლო ნორმების: 2.02.01 – 2003 წ. „შენობა-ნაგებობათა ფუძე-საძირკვლები“.
უცხო ენების ცოდნა	ქართული - მშობლიური; რუსული - კარგად; ინგლისური - ლექსიკონის დახმარებით

ДИПЛОМ
ДОКТОРА НАУК

МТН № 007499

Москва 23 декабря 1975 г.

Решением
Высшей Аттестационной Комиссии
от 28 ноября 1975 г. (протокол N. 18)

Чохонелидзе Гуге Ильичу

ПРИСУЖДЕНА УЧЕНАЯ СТЕПЕНЬ ДОКТОРА
ТЕХНИЧЕСКИХ НАУК

Председатель Высшей
Аттестационной Комиссии

Ученый Секретарь Высшей
Аттестационной Комиссии

საქართველოს საინჟინრო აკადემია

დიპლომი N250

მიეცა ბატონ

გაგა ჭოხონელიძეს

მასზედ, რომ 2000 წლის 18 თებერვალს იგი არჩეულ იქნა საქართველოს საინჟინრო აკადემიის ნამდვილ წევრად (აკადემიკოსად)

აკადემიის პრეზიდენტი ი. ფრანგიშვილი

აკადემიკოს-მდივანი ი. გორგიძე

თბილისი, 2000

THE GEORGIAN ENGINEERING ACADEMY

DIPLOMA N250

Is given to Mr.

Gaga Chokhonelidze

That in February 18, 2000 he was elected as a full member (academician) of the Georgian Engineering Academy

President I. Prangishvili

Academician-secretary I. Gorgidze

Tbilisi, 2000



დიპლომი

წარჩინებით

№ 737129

Государственной Экзаменационной Комиссии

Город

1941 г.

Регистрационный № 6133



საქართველოს რესპუბლიკა

პირადი ნომერი 01026010539

სახელი გუგა

გვარი ჭოხონელიძე

დაბადების თარიღი 16.02.1938 წ.

დაბადების ადგილი თბილისი

No 0266413

საქართველოს მოქალაქის

რეგისტრაციის მოწმობა ა 539676

ქვეყანაში პირადობის მოწმობასთან ერთად

სახელი გუგა

გვარი ჭოხონელიძე

პირადი № 01026010539

მისამართი თბილისი, ...

გაცემულია თბილისის საბურთალოს რაიონის შ.ს. მთავრ. ქვეგანყოფილება

გაცემის თარიღი 29.09.2000 წ.

რეგისტრაციის ორგანოს დასახელება

თბილისის საბურთალოს რაიონის

შ.ს. მთავრ. ქვეგანყოფილება

თანამდებობის პირის ხელმოწერა

29 სექტემბერი 2000 წ.

19 წ.

გაცემის თარიღი

24.03.87